EUROPEAN UNION

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერის“ ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მონაწილეობით და საქართველოს პარლამენტის პარტნიორობით, „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივაში (OGP) საქართველოს პარლამენტის როლის გაზრდის, საქართველოში საპარლამენტო ღიაობის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობისა და მოქალაქეთა საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის გაძლიერების მიზნით, საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის 2013 წლის 12 დეკემბერს ხელმოწერილი „თანამშრომლობის მემორანდუმის“ და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 12 თებერვლის #19/3 ბრძანების „ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP)“ ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის უზრუნველსაყოფად ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნის შესახებ“ საფუძველზე, საქართველოს პარლამენტი და „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერის“ ფარგლებში ჩართული არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები (შემდგომში მოხსენიებულნი არიან როგორც „მხარეები“) ხელს აწერენ წინამდებარე მემორანდუმს.

1. მხარეები თანხმდებიან მონაწილეობა მიიღონ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერის“ ფარგლებში შექმნილი საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის მუშაობაში.
2. ინტერფრაქციული ჯგუფი ითანამშრომლებს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან.
3. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები გამოხატავენ მზადყოფნას დაეხმარონ ინტერფრაქციულ ჯგუფს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ფარგლებში საქართველოს პარლამენტის როლის გაზრდასა და „საქართველოს პარლამენტის სამოქმედო გეგმა ღია პარლამენტისთვის“ შემუშავების პროცესში.

მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

გაეროს განვითარების პროგრამა	
ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში	
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი	
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო	
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	
ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი	
ღია საზოგადოება საქართველო	
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი	
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება	
აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმა	
სამოქალაქო განვითარების სააგენტო	
ჯამპსტარტ საქართველო	
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი	

საქართველოს პარლამენტი

Open Government Partnership

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი